შეთანხმების აქტი N151-1

10.06.2015 წლის N151 ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შესახებ

ქ. თბილისი

1 ივლისი 2015 წელი

ერთის მხრივ,
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის - **ბესიკ დევდარიანის** სახით,
მის: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. N3
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის N: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ
შპს „ახალი ქსელები“
დირექტორი - ნანა შარაშენიძის სახით,
მის: ქ. თბილისი, ა. პოლიტოვსკაია ქ. N16
ტელ: 577447697
საიდენტიფიკაციო კოდი: 202913106
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი ბანკი”
ბანკის კოდი: BAGAGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: ა/ა GE16TB1100000021467754
(შემდგომში „მიმწოდებელი“)

2015 წლის 10 ივნისს გაფორმებული N151 ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის, სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლისა და პატიმრობის კოდექსის 125[1] მუხლის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. იმის გათვალისწინებით, რომ პატიმრობის კოდექის 125[1] მუხლის საფუძველზე 2015 წლის 1 ივლისს განხორციელდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაცია და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს რეორგანიზაცია, აღნიშნულმა ცვლილებამ 2015 წლის 10 ივნისს გაფორმებული N151 ხელშეკრულებაში გამოიწვია ცვლილების განხორციელება, კერძოდ:

1.1. 2015 წლის 10 ივნისს გაფორმებული N151 ხელშეკრულების მუხლებში, პუნქტებსა და ქვეპუნქტებში, სადაც ფიგურირებს სიტყვა **სასჯელაღსრულების დეპარტამენტი** შეიცვალოს სიტყვით **პენიტენციური დეპარტამენტი** ხოლო **სასჯელაღსრულების დაწესებულებები** შეიცვალოს სიტყა **პენიტენციურ დაწესებულებებით.**

1.2. მე-9 მუხლით განსაზღვრულ კონტროლს განახორციელებს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საინფორმაციო-ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი ლაშა აბრამიძე.

1.3. 2015 წლის 10 ივნისს გაფორმებული N151 ხელშეკრულების 17-ე მუხლში განსაზღვრული „შემსყიდველის“ რეკვიზიტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, მის.: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. N3, საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934, სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222, ანგარიშის N: 200122900, მინისტრის მოადგილის - ბესიკ დევდარიანი“.

2. ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში მოცემული ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელი.

3. შეთანხმება ძალაშია მითითებული თარიღიდან, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით და პირობებით.

4. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	შპს „ახალი ქსელები“
ბესიკ დევდარიანი	ნანა შარაშენიძე